



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
საქართველოს სახელით

საქმე №33/181-15

29 მაისი 2015 წელი  
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა  
მოსამართლე: ნინო ქადაგიძე

სხდომის მდივანი: ლიანა გელაშვილი

აპელანტი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

წარმომადგენელი - ნინო ქეცხიშვილი;

მოწინააღმდეგე მხარე - ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;

წარმომადგენლები - ლევან ავალიშვილი, უჩა სეთური;

დავის საგანი - ქმედების განხორციელების დავალება;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება;

1. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სარჩელი დაკმაყოფილდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა მოსარჩელეს სრულყოფილად გადასცეს 2014 წლის 13 ივნისის წერილის მე-4 და მე-5 პუნქტებით მოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, კერძოდ, 2013 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე (მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები) დარიცხული პრემიების

ოდენობის შესახებ თვეების მიხედვით (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით), აგრეთვე, 2013 წელს სამინისტროს იმავე თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობის შესახებ (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით).

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2014 წლის 13 ივნისს მოსარჩელე - ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა ინფორმაციასთან ერთად ასევე მოითხოვა შემდეგი ინფორმაციის გადაცემა: 2013 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე (მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები) დარიცხული პრემიების ოდენობის შესახებ თვეების მიხედვით (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით). 2013 წელს სამინისტროს იმავე თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობის შესახებ (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით), რაც მოპასუხეს არ განუხორციელებია.

2014 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოსარჩელეს გადასცა სამინისტროს თანამდებობის პირებზე 2013 წელს გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია თვეების მიხედვით, თუმცა არ მიუთითებია ინფორმაცია ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ხსენებული მუხლის შესაბამისად, პროვინებას აქვს იდეების და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პროვინებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა

კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადვოკატის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება“). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 10.1 მუხლს, რომელიც ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ამავე საკანონმდებლო აქტის 27<sup>1</sup> მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო იდენტიფიცირებადია პირი, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით, ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ - ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვა კონკრეტული თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მათ ფინანსურ-ეკონომიკურ მონაცემებს, რაც ასეთი ინფორმაციის პერსონალურ მონაცემად მიჩნევის სამართლებრივი საფუძველია. ასევე დადგენილია, რომ სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია გასცა არა იმ შინაარსით, რასაც განმცხადებელი სთხოვდა, არამედ 2013 წელს გაცემული პრემიებისა და დანამატების ოდენობა დაჯამებული სახით თვეების მიხედვით, სახელისა და გვარის მითითების გარეშე.

სასამართლომ მოიხმო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი

მიზნებისათვის და ამავე კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსაცემების დამუშავება მათ შორის მოიცავს მონაცემთა გამჟღავნებას მათი გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით. ამავე საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლის „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ ეს გათვალისწინებულია კანონით, თუ აუცილებელია მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად ან ეს აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალურ მონაცემთა გარდა.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-14, მე-15 და მე-19 მუხლებზე, რომლის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, მისი მოადგილეები და დეპარტამენტის ხელმძღვანელები ამ კანონის მიზნებისათვის ითვლებიან თანამდებობის პირებად და ვალდებულნი არიან შეავსონ ქონებრივი დეკლარაცია, შესაბამისად, თანამდებობის პირის მიერ საანგარიშო პერიოდში სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი საჯარო ინფორმაციის კატეგორიას განეკუთვნება და მისი გამოთხოვა და გაცნობა შეუძლია ნებისმიერ პირს. სასამართლომ განმარტა, რომ სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი ხელფასის გარდა გულისხმობს ასევე პრემიასა თუ კანონით გათვალისწინებულ სხვა ქონებრივ სარგებელს, რომლის გაცემის უფლებამოსილება საჯარო დაწესებულებას გააჩნია თანამდებობის პირებისათვის წახალისების, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების, განსაკუთრებული სირთულის სამუშაოს შესრულებისა თუ სხვა ისეთი სამსახურებრივი დამსახურებისათვის, რომლის ანაზღაურება დასაშვებია კანონით და მიზანშეწონილია ადამიანის შრომის შესაბამისი და სათანადო ანაზღაურების პრინციპიდან გამომდინარე. ამდენად, თანამდებობის პირი ვალდებულია დეკლარაციაში შეიტანოს არამხოლოდ ხელფასის შესახებ ინფორმაცია, არამედ ვალდებულია ასახოს ყველა ის ქონებრივი უპირატესობა, რაც მან სამუშაოს შესრულების შედეგად მიიღო. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ თანამდებობის პირის მიერ სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავლის თაობაზე ინფორმაცია სწორედ იმ ინფორმაციათა კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც ღიაა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის.

ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ საზოგადოება უფლებამოსილია გაიგოს თუ რა თანხით აანაზღაურა ამათუ იმ თანამდებობის პირის საქმიანობა საჯარო დაწესებულებამ, აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებისათვის მაღალი ღირებულების მატარებელია, სწორედ აღნიშნულ მიზანს

ემსახურება თანამდებობის პირის მიერ სამუშაოს შესრულებით პილებული შემოსავლის სავალდებულო დეკლარირება, აგრეთვე ზაკ-ის 44.1 მუხლის დანაწესის არსებობა პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე გარდა თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემისა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე - ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს გააჩნია ლეგიტიმური მიზანი მიიღოს 2014 წლის 13 ივნისის განცხადების მე-4 და მე-5 პუნქტებით მოთხოვილი ინფორმაცია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ზემოხსენებული სამართლის ნორმებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი საფუძვლიანია, უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა დაევალოს მოსარჩელეს სრულყოფილად გადასცეს მოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, კერძოდ, 2013 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე (მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები) დარიცხული პრემიების ოდენობის შესახებ თვეების მიხედვით (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით), აგრეთვე, 2013 წელს სამინისტროს იმავე თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობის შესახებ (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით).

### 3.1. სააპელაციო საჩივრის საფუძველები:

#### *ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები:*

აპელანტი განმარტავს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ფულადი პრემია განსაზღვრულია, როგორც წახალისების ერთერთი ფორმა, რომელსაც ასევე ითვალისწინებს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N989 ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიც. აპელანტი მიიჩნევს, რომ 2014 წლის 29 ოქტომბრის N2164534 წერილით გაცემული წერილობითი პასუხით სამინისტრომ სრულად შეასრულა მისი ვალდებულება ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, რომელიც მიეკუთვნება ღია საჯარო ინფორმაციის კატეგორიას.

აპელანტი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლზე, საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 27-ე, 42-ე, 44-ე მუხლებზე და განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება პირის პერსონალური მონაცემის გასაჯაროება ამ პირის თანხმობის ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. თუმცა, ეს აკრძალვა არ ვრცელდება თანამდებობის პირებზე - თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემები, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლოა, გასაჯაროდეს, თუმცა კანონი არ აკონკრეტებს თუ რა შემთხვევაში შეიძლება თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გასაჯაროება და იმას, თუ რა ტიპის ინფორმაციის გასაჯაროება არის შესაძლებელი თანამდებობის პირების შესახებ.

აპელანტი მიუთითებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი „ა“ ქვეპუნქტზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე და განმარტავს, რომ პირის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია წარმოადგენს დახურული ტიპის საჯარო ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აპელანტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავზე, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონზე მითითებით, აღნიშნავს, რომ ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია არის დახურული ტიპის ინფორმაცია და ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი პირის თანხმობის, სასამართლო გადაწყვეტილების ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევის გარეშე გასცეს ისეთი პირდი ხასიათის ინფორმაცია, რომლიც უკავშირდება ამ პირის ფინანსურ საკითხებს.

### III ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

#### 4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღწერილობითი და

სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სააპელაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შს სამინისტროს სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს, სამართლებრივ დასკვნებს, მის მიერ გამოყენებული ნორმების განმარტებებს და თვლის, რომ სახეზე არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები.

რამდენადაც დავა შეეხება საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხს, სააპელაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სასამართლოს მხრიდან საქართველოს კონსტიტუციისა და ზაკ-ის მე-3 თავის რეგულაციებზე მითითებას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს:

მონაცემთა დაცვის უფლება წარმოადგენს იმ უფლებათა ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა კონვენციით და შესაბამისი საერთაშორისო აქტებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემთა დაცვის ძირითადი უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და კონვენციის საფუძველზე განიხილება საზოგადოებაში მისი დანიშნულების მიხედვით. სახელმწიფოს ემლევა შესაძლებლობა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე, ძირითად უფლებათა შორის ბალანსის დადგენის გზით, განსაზღვროს ის გამონაკლისები, რომელიც ემსახურება ზოგად საჯარო ინტერესებს.

საერთაშორისო აქტები, ისევე როგორც შიდა კანონმდებლობა, ადგენს არა მხოლოდ ინფორმაციის დაცულობას, არამედ ინფორმაციის მიღების უფლებას, რომლისადმი მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს პრინციპს. სწორედ აღნიშნული პრინციპის ასახვას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. იგივე მოთხოვნებია

ასახული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

როგორც აღინიშნა, იმისათვის, რათა მიღწეულ იყოს ბალანსი ზემოაღნიშნულ უფლებებს შორის, გამონაკლისები და შეზღუდვები დგინდება შიდა კანონმდებლობის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლო სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-14, მე-15 და მე-19 მუხლებზე, რომლის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, მისი მოადგილეები და დეპარტამენტის ხელმძღვანელები ამ კანონის მიზნებისათვის ითვლებიან თანამდებობის პირებად და ვალდებული არიან შეავსონ ქონებრივი დეკლარაცია.

სააპელაციო სასამართლო ადასტურებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული ნორმების დანიშნულებას წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირება და უფლება, გაიგოს თუ რა თანხითაა ანაზღაურებული ამათუ იმ თანამდებობის პირის საქმიანობა საჯარო დაწესებულებაში.

ზაკ-ის 44-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში -სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო განმარტავს, ყველა სხვა ფიზიკური პირისაგან განსხვავებით თანამდებობის პირი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს პერსონალური ინფორმაციის სრული მოცულობით დაცვა. იმ ვითარებაში, როდესაც თანამდებობის პირი აცხადებს მზაობას დაიკავოს შესაბამისი თანამდებობა, ამით ის ადასტურებს საკუთარ ნებას ხელმისაწვდომი გახადოს ის ინფორმაცია რაც სხვა პირებთან მიმართებაში ექვემდებარება საკანონმდებლო დაცვას.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ თანამდებობის პირის მიერ საანგარიშო პერიოდში სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი განეკუთვნება საჯარო ინფორმაციის კატეგორიას და მისი გამოთხოვა და გაცნობა შესაძლებელია ნებისმიერი პირისთვის. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი ხელფასის გარდა გულისხმობს პრემიას და კანონით გათვალისწინებულ სხვა ქონებრივ სარგებელს, რომლის გაცემის უფლებამოსილება საჯარო დაწესებულებას გააჩნია თანამდებობის პირებისათვის წახალისების, ზეგანაკვეთური შრომის

ანაზღაურების, განსაკუთრებული სირთულის სამუშაოს შესრულებისა თუ სხვა ისეთი სამსახურებრივი დამსახურებისათვის, რომლის ანაზღაურება დასაშვებია კანონით და მიზანშეწონილია ადამიანის შრომის შესაბამისი და სათანადო ანაზღაურების პრინციპიდან გამომდინარე. რასაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ადასტურებს ის გარემოება, რომ დეკლარაციის შევსების ეტაპზე ჩნდება არამხოლოდ ხელფასის შესახებ ინფორმაციის, არამედ ყველა იმ ქონებრივი სარგებლის შეტანის ვალდებულება, რაც სამუშაოს შესრულების შედეგადაა მიღებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესებს ინფორმაციის ღიაობის პრინციპს, რაც ნიშნავს იმას, რომ საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია არის ღია და ხელმისაწვდომი ყველასათვის, სანამ კანონმდებლობით პირდაპირ არ დადგინდება მისი დახურვის აუცილებლობა. ზაკ-ის 28-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

იმავე კოდექსის 37.1 მუხლი ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა.

მითითებული ნორმების დანაწესიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის ხასიათი ქმნის იმის საფუძველს, რომ სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება ინფორმაციის გაცემის დავალების თაობაზე.

## 5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო დარღვევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სახეზე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება.

## 6. საპროცესო ხარჯები:

6.1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აპელანტი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

IV ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-12, 34-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კასაციის წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32), დასაბუთებული განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა).

მოსამართლე:



ნინო ქადაგიძე

